კომპანია იყენებს ფასს-ით განსაზღვრულ გათავისუფლებას, კერძოდ არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

საქონლის მიწოდებიდან ამონაგების თანხა კომპანიის შემოსავლების ფორმირებაში უმნიშვნელოა, ამიტომც წარდგენილია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგარიშგებაში „შემოსავალში“. დაუზუსტებელი სახით ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

## შპს სილქ ფაქტორი სტუდიო

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

**შემოსავალი მიწოდებული მომსახურებიდან**- აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

მიმდინარე პერიოდში შპს „სილქ ფაქტორი სტუდიო“-მ მიიღო შემოსავლები შემდეგი მომსახურებებიდან: პოსტპროდაქშენი(სრული), ხმის სტუდიით მომსახურება, გალერეის, თეატრის და პავილიონის სივრცეების დატვითვა სხვადასხვა ღონისძიებებით, კინოგადასაღები ტექნიკისა და ავტომანქანების იჯარა და სხვა .

მიმდინარე პერიოდში შპს „ბრიჯის ფროდაქშენი“-მა (404623065) არაბულ სტუდიო კომპანიასთან (NBC STUDIOS FZ\_LLC) დაიწყო თანამშრომლობა კინოფილმის გადაღებაში გაეწია საპროდიუსერო მომსახურება, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“-ფარგლებში . შესრულდა მხოლოდ წინა მოსამზადებელი სამუშაები, მაგრამ არაბული კომპანიის მხრიდან შეწყდა აღნიშნულ პროექტზე მუშაობა. შპს ბრიჯის ფროდაქშენმა ძირითადი შემოსავალი მიიღო 2022 წელს.

### საიჯარო შემოსავალი.

საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკება-გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება გაქირავებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

საიჯარო შემოსავალი წარდგენილია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგარშსგებაში „შემოსავალში“. დაზუსტებული სახით ახსნა განმარტებითი შენიშვნებში.

საიჯარო შემოსავალი. კომპანია უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას პარტნიორებს, მათ შორის იჯარის მომსახურებას ავტომანქანებსა და საჰაერო ხომალდებზე

### ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება პროპორციის საფუძველზე აღიარებული შემოსავლის მიხედვით.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების ბსაფუძველზე.

შპს „ბრიჯის ფროდაქშენი“-ს მიმდინარე პერიოდის ხარჯის დიდი ნაწილი შეგდება საპროდიუსერო საქმიანობაზე გაწეულ ხარჯისგან.(არაბული პროექტი).

**საიჯარო ხარჯები.** თუ კომპანია არის მოიჯარე, ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მეიჯარისგან კომპანია არ გადაეცემა, წლის საიჯარო გადასახადები იჯარის ვადის განმავლობაში აღირიცხება მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის ის სავალდებულო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე თანახმაა, იჯარით მიიღოს აქტივი და აქვს უფლება, მოითხოვოს იჯარის გაგრძელება დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისში საკმარისად ცხადია, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

### ხელფასის ხარჯი და მასთან დაკავშირებული ბონუსები

ხელფასი, გასამრჯელო, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები დარიცხვას ექვემდებარება იმ საანგარიშგებო

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

პერიოდში როცა კომპანიამ მიიღო მომსახურება მისი თანამშრომლისგან. კომპანია არ ახდენს გამოუყენებელი შვებულებების დარეზერვებას, იმის გათვალისწინებით, რომ კალენდარული წლის გამოუყენებელი შვებულებების მომავალ პერიოდში გამოყენების უფლებას არ განიხილავს.

#### ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს. შემოსავლის აღიარება.

#### ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

**2023-2024-2025 წ.წ. კომპანიაში მიმდინარეობს ძირითადი საშუალებების შეფასება, სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ცვლილებები.**

**ცვლილებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ.** წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

#### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში: ფინანსური ანგარიშგების მოზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მოზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძველიან ექვს ბადებს საწარმოს შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს არსებითი განუსაზღვრელობები. თუ ფინანსური ანგარიშგება მოზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მოზადდა ფინანსური ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება**-როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება, კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

2022 წელს მენეჯმენტს სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება არ განუხორციელებია.

**2023-2024-2025 წ.წ. კომპანიაში მიმდინარეობს ძირითადი საშუალებების შეფასება, სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ცვლილებები.**

- ფინანსური აქტივების გაუფასურება**-ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.** ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით და მსჯელობით.

- გადასახადები** საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და მისი ცალკეული მუხლების ბუნდოვანება, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს, რიც გამოცოცხდას საგადასახადო ორგანოებმა შემოწმებისას შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ცალკეული გარიგებები და ოპერაციები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისას შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არაუდირებული წლისათვის, მაგრამ ზემოთ არნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს საგადასახადო შემოწმებისას გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნას

- მოძველებული და ვადაგასული მარაგების რეზერვი** -გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული და ტექნოლოგიების ცვლილების შედეგად მოძველებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

- სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩეველების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება მსგავსი საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებას დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე, რეაგირებაზე .

- ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება- კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ სავაჭრო მოთხოვნებსა და გაცემულ სესხებზე. საკრედიტო ზარალის რეზერვი ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის თანახმად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ

საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი ფინანსური აქტივებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი არ ჰქონია, აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც მომდევნო 12-თვიან პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული. ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა, აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც რისკის პოზიციის მთლიანი არსებობის მანძილზე. სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად ზარალის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის რეზერვს საფუძველზე. კომპანიას აქვს რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება. .

კომპანიას არა აქვს ისტორიული ინფორმაცია, რაც საშუალებას მისცემდა კომპანიას, სესხებზე შეექმნა რეზერვირების მატრიცა. მენეჯმენტმა დაასკვნა რა, რომ საწყისი აღიარების შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს, განსაზღვრა სრული საკრედიტო ზარალის რეზერვის არსებობის მანძილზე, კერძოდ, რომელიც მიიღებოდა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ციკლის განმავლობაში. მენეჯმენტი ამიტომაც საწყისი აღიარების (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის აღბათობის დასადგენად სწავლობს მსესხებელის ფინანსური მდგომარეობისა და საერთო ეკონომიკური გარემოსათვის სპეციფიური ფაქტორებს. მენეჯმენტმა დაასკვნა რა, რომ საწყისი აღიარების (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის აღბათობებს.

გაუფასურების განაკვეთები პერიოდის მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომლის ამოღება, კომპანიის აზრით, შეუძლებელია - ანუ ამოუღებელია. ყველა შემთხვევაში, კომპანია თვლის, რომ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება. კომპანია საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევის ნიშნებს გამოავლენს გადახდისუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

• **იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას, რათა განსაზღვროს ფინანსური აქტივებისა და საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და უკუგება არსებითად არის თუ არა გადაცემული პარტნიორობზე, მაშინ, როდესაც კომპანია მოიჯარა, კერძოდ რომელი რისკები და უკუგება ყველაზე მნიშვნელოვანი და რა არის არსებითად ყველა რისკი და უკუგება. მენეჯმენტის განსჯა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე

• -საიჯარო პერიოდი მოიცავს თუ არა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის უმეტეს ნაწილს, მიუხედავად იმისა რომ არ ხდება საკუთრებაში გადაცემა და

• - მეიჯარე გადასცემს აქტივზე საკუთრების უფლებას მოიჯარეს იჯარის ვადის დასრულებისას.

• **დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება.** ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია მე-16 შენიშვნაში.

•

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას, კერძოდ, აფასებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის ხარისხის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს თავდაპირველი აღიარების დღიდან საანგარიშო დღემდე კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის ცვლილებას.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცემის დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირებულია პროგნოზირებადი ინფორმაციით.

კომპანიის მეთოდოლოგია თუ როგორ განსაზღვრავს რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მოცემულია შენიშვნა 15

კომპანიას სრულად აქვს რეზერვირებული ყველა 90 დღეზე მეტი ვადის სავაჭრო მოთხოვნა, რადგან არსებული გამოცდილების მიხედვით, 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცემული მოთხოვნების ამოღება, ჩვეულებრივ შეუძლებელია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინასწარ გადახდილი გადასახადები მოიცავს „საგადასახდო ვალდებულებების აღრიცხვისა და ბარათის წარმოების წესებში“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო წარმოშობილ გადასახადების ნეტო ნაშთებს. საგადასახდო ავანსები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად ყველა გადასახადის ნაწილში, ასევე საგადასახდო აქტივებში შედის ჩაუთვლელი დამატებით ღირებულების გადასახადი, რომლის ჩათვლის უფლება მოპოვებულია.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება უახლოვდება რეალურ ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

### მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახდო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე ვრცელდება. წინა საგადასახდო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

### ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს

### ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო

## შპს სილქ ფაქტორი სტუდოი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მოთხოვნები, გაცემული სესხები.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს აღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორობთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება საკმაოდ რთული პროცესია და გულისხმობს მოდულების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია გაცემული სესხებიდან და სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან მისაღები ზღვრის დაწესებით. ასევე ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და გაწეული მომსახურების მიხედვით მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკები ექვემდებარება წლიურ მიმოხილვას.

კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურ შეფასებებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვის განმავლობაში 2019 წლის 1 იანვრამდე ან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, და შესაბამის, ამ პერიოდში გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლის მიერ მოთხოვნების შესრულებაში., ასევე განხილულია მომხმარებლის საქმიანობის მომავალი პერსპექტივები.

კომპანია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დროს, აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს, რომელიც ეფუძნება მსესხებლის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დეფოლტის ალბათობაზე კომპანიის შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღიღი კქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, ხდება ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით.

კომპანია მიიჩნევს, რომ გაზრდილია ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ალბათობა, როდესაც ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილებდა. კერძოდ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნებია:

- ხელშეკრულებით დადგენილი გადახდების შეფერხება 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.
- საკრედიტო რისკის გარე ბაზრის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილებები (საპროცენტო განაკვეთები, გაცვლითი კურსი);
- მნიშვნელოვანი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტის ან მსესხებლის საკრედიტო რეიტინგში. საკრედიტო რეიტინგი შეიძლება იყოს როგორც გარეგანი (დადგენილია სარეიტინგო სააგენტოს მიერ), ასევე შიდა (გამოითვლება თავად ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით);
- არსებული ან დაგეგმილი უარყოფითი ცვლილება ტექნოლოგიურ, კომერციულ, ფინანსურ ან ეკონომიკურ პირობებში, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებელზე (უმუშევრობის ზრდა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ინფლაციის ზრდა, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები);
- მსესხებლის საოპერაციო საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი ან მოსალოდნელი ცვლილება;
- უზრუნველყოფის ოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილება;
- მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება (ბიზნესის სეზონურობის გათვალისწინებით), რაზეც მიანიშნებს:
  - პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
  - (EBIT/საპროცენტო ხარჯი) <2.5;
  - ვალი / EBITDA >3.5;
  - საკუთარი კაპიტალი/აქტივები <30%;
  - გაყიდვების მნიშვნელოვანი შემცირება;
  - მსხვილი კლიენტის დაკარგვა;
  - მსხვილ მომწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტა;
  - ლიკვიდობის გაუარესება;
  - მომგებიანობის გაუარესება;
  - სხვა

სააღრიცხვო პოლიტიკით თავდაპირველი აღიარებისას საწარმო აგენს, რომ 1% ცვლილება არ არის მნიშვნელოვანი. ხოლო საკრედიტო რისკის ერთი პუნქტით ზრად მნიშვნელოვანია. საკრედიტო რისკის შეფასებაზე

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ასევე გავლენას ახდენს სესხის ვადა და უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს პოტენციური ზარალის შეფასებისას კომპანია იყენებს გონივრული და მხარდაჭერილი ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობების და დაგეგმილი მომავალი პირობების შესახებ.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. კომპანია „ECL“-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელს. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიანი „ECL“-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR ზრდა), ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. ფინანსური ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობის შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, „ECL“-ის გარეშე. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, კომპანია ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

#### კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია კომპანიის ვალის კაპიტალთან თანაფარდობის მართვის გზით.

მართვა ხორციელდება შემდეგ ინდიკატორებზე დაყრდნობით:

- წმინდა დავალიანება მთლიანი კაპიტალის მიმართ,
- მთლიანი დავალიანება EBITDA-ს მიმართ,
- წმინდა დავალიანება EBITDA-ს მიმართ.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას, კაპიტალის შევსების ან/და კაპიტალის შემცირებისა და დამფუძნებლებზე დაბრუნების ხარჯზე, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

#### ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 10

##### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ. 20. ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაცია უნდა დაიწყოს იმ თარიღიდან, როდესაც ინვესტორი მოიპოვებს კონტროლს ინვესტირებულ საწარმოზე და უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც ინვესტორი კონტროლს დაკარგავს ინვესტირებულ საწარმოზე.

საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.

საინვესტიციო საწარმოს განმარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ საწარმო პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს აფასებს და აანალიზებს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ვინაიდან სამართლიანი ღირებულების გამოყენებით მიიღება გაცილებით უფრო რელევანტური ინფორმაცია, ვიდრე, მაგალითად შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციის შედეგად, ან მეკავშირე საწარმოებსა თუ ერთობლივ საწარმოებში ფლობილი წილების წილობრივი მეთოდით აღრიცხვისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები; ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში (იხ ფასს 3,

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სადაც აღწერილია შესაბამისი გუდვილის აღრიცხვის წესი); გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 12 – „მოგებიდან გადასახადები“ – ეხება დროებით სხვაობებს, რომლებიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ოპერაციებიდან მოგებისა და ზარალის თანხების გამოქვითვის შედეგად

საწარმო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს იმ თარიღიდან, როდესაც მოიპოვებს კონტროლს და იმ თარიღამდე, როდესაც დაკარგავს კონტროლს ამ შვილობილ საწარმოზე. შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაიანგარიშება შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების საფუძველზე. მაგალითად, კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეძენის თარიღის შემდეგ აღიარებული ცვეთის ხარჯი უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ცვეთადი აქტივების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული იყო შეძენის თარიღისათვის.

როდესაც არსებობს პოტენციური ხმის უფლებები, ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, პროპორცია, რომლის მიხედვითაც ხდება მოგების, ან ზარალის და საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების მიკუთვნება მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განისაზღვრება მხოლოდ ძალაში შესული საკუთრების წილების საფუძველზე და ეს თანხები არ ასახავს პოტენციური ხმის უფლებების შესაძლო გამოყენებას, ან კონვერტაციას და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გამოიყენება 890 პუნქტი

ფასს 9 არ ეხება იმ შვილობილ საწარმოებში ფლობილ წილებს, რომლებიც კონსოლიდირდება. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, თავისი არსით, მიმდინარე მომენტში საწარმოსთვის ხელმისაწვდომს ხდის შვილობილ საწარმოში ფლობილ საკუთრების წილთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებას, ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არ გამოიყენება ფასს 9-ის მოთხოვნები. ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს შვილობილ საწარმოში პოტენციურ ხმის უფლებებს აღირიცხება ფასს 9-ის შესაბამისად.

მშობელ საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შედგენილი უნდა იყოს ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც მშობელი საწარმოს საანგარიშგებო თარიღი განსხვავდება ზემოაღნიშნული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო თარიღისგან, შვილობილმა საწარმომ კონსოლიდაციის მიზნებისთვის უნდა მოამზადოს დამატებითი ფინანსური ინფორმაცია მშობელი საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის, თუ ამის გაკეთება შეუძლებელი არ არის, რათა მშობელმა საწარმომ შეძლოს შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია. თუ შეუძლებელია ამის გაკეთება, მშობელმა საწარმომ ამგვარი შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია უნდა განახორციელოს შვილობილი საწარმოს ყველაზე ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც კორექტირებულია იმ მნიშვნელოვანი ოპერაციებისა თუ მოვლენების შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის პერიოდში. ნებისმიერ შემთხვევაში, შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდებისა და ფინანსური ანგარიშგებების თარიღებს შორის განსხვავების პერიოდის ხანგრძლივობა ერთნაირი უნდა იყოს წლების მანძილზე.

### კონტროლის დაკარგვა

მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება დაკარგოს ორი ან მეტი შეთანხმების (ოპერაციის) შედეგად. თუმცა, ზოგჯერ გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა აისახოს როგორც ერთი ოპერაცია. იმის დასადგენად, მრავალჯერადი შეთანხმება უნდა აისახოს თუ არა ერთი ოპერაციის სახით, მშობელმა საწარმომ უნდა განიხილოს ყველა შეთანხმების ყველა პირობა და მათი ეკონომიკური შედეგები. ქვემოთ განხილული სიტუაციიდან ერთ-ერთის, ან მეტის არსებობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მშობელმა საწარმომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა აისახოს, როგორც ერთი ოპერაცია:

ა) ეს გარიგებები დადებულია ერთსა და იმავე დროს, ან ერთმანეთთან დაკავშირებულად; ბ)

გარიგებები წარმოქმნის ერთ ოპერაციას, რომელიც განკუთვნილია ერთიანი კომერციული მიზნის მისაღწევად;

გ) ერთი გარიგების განხორციელება დამოკიდებულია სულ მცირე ერთ სხვა გარიგებაზე მაინც;

დ) ცალკე განხილული ერთი გარიგება, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამართლებული არ არის, მაგრამ ეკონომიკურად გამართლებულია, როდესაც სხვა გარიგებებთან ერთად განიხილება. მაგალითად, როდესაც აქციების ერთი პარტიის გაყიდვა

## შპს სილქ ფაქტორი სტუდოი

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

გათვალისწინებულია საბაზროზე დაბალი ფასით და ამის კომპენსაცია ხდება საბაზროზე მაღალი ფასით მომდევნო პარტიის გაყიდვის შედეგად. თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი:

ა) წყვეტს: (i) შვილობილი საწარმოს აქტივებისა (მათ შორის გუდვილის) და ვალდებულებების აღიარებას მათი საბალანსო ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც დაკარგა კონტროლი; (ii) წყვეტს ყოფილი შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებების აღიარებას იმ თარიღისთვის, როდესაც კონტროლს კარგავს (მათ შორის, ამ წილზე მისაკუთვნებელი სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების აღიარებას);

ბ) აღიარებს: (i) იმ ოპერაციიდან, მოვლენიდან თუ გარემოებებიდან მიღებული კომპენსაციის (თუ ასეთი არსებობს) სამართლიან ღირებულებას, რომელმაც გამოიწვია კონტროლის დაკარგვა; და (ii) თუ ოპერაცია, რომელმაც კონტროლის დაკარგვა გამოიწვია, მოიცავს შვილობილი საწარმოს აქციების განაწილებას მის მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, – ამ განაწილებას; და (iii) შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას, კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით; გ) ახდენს შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით, სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში აღიარებული თანხების რეკლასიფიკაციას მოგებაში ან ზარალში, ან პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადააქვს, თუ სხვა ფასს სტანდარტებით მოითხოვება, 899 პუნქტში აღწერილი მეთოდით; დ) ამის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ სხვაობის თანხას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს, მშობელ საწარმოზე მისაკუთვნებელ მოგებაში ან ზარალში. 899. თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, მშობელმა საწარმომ ამ შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრული შემოსავლის მუხლში ადრე აღიარებული ყველა თანხა იმავე მეთოდით უნდა ასახოს, რომელიც მოეთხოვებოდა, თუ შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებების გასვლა პირდაპირ მშობელი საწარმოდან მოხდებოდა. ამგვარად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია მოხდებოდა მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, მშობელი საწარმო შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაციას ახდენს საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (რეკლასიფიკაციის კორექტირების სახით), როდესაც კონტროლს კარგავს ფასს 10 © IFRS Foundation 45 შვილობილ საწარმოზე. ანალოგიურად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადაფასების ნამეტი გადატანილი იქნებოდა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აქტივის გასვლასთან დაკავშირებით, მშობელმა საწარმომ გადაფასების ნამეტის თანხა უნდა გადაიტანოს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე.

#### პირობითი ვალდებულებები

**სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2024** 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულება.

**სასამართლო დავები - 2024** წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ქონია არსებით საყურადღებო მოვლენას.

**2023-2024-2025 წ.წ. კომპანიაში მიმდინარეობს ძირითადი საშუალებების შეფასება, სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ცვლილებები.**

#### კომპანიის სამუშაო გარემო

„კომპანია“ ძირითად ბიზნეს საქმიანობას საქართველოში ეწევა. საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ცვალებადი ინტერპრეტაციების საგანს წარმოადგენს და ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

## შპს სილქ ფაქტორი სტუდია

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, ასევე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია იმ განვითარებების წინასწარ დადგენა, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საქართველოს ეკონომიკაზე, ასევე „კომპანიის“ მომავალ ფინანსურ მდგომარეობა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მხრიდან შესაძლო მოქმედების განსაზღვრაზე. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა კოვიდ-19 პანდემიამ და რუსეთ უკრაინის ომმა ჩვენს სფეროზე, რადგან შემცირდა უცხოური პროექტების შემოდინება საქართველოში და პანდემიის შემდგომ გვიწევს საერთაშორისო კონტაქტების განახლება და საერთაშორისო პროექტების მოზიდვა.

თუმცა კომპანიას აქვს მომავალი გეგმები როგორც ფილმწარმოების და სატელევიზიო პროექტების, ასევე სივრცეში არსებული ღონისძიებების დაგეგმარების კუთხით. დაგეგმილია სხვადასხვა მხატვრის გამოფენები, თეატრალური ფესტივალები და საკონცერო საღამოების გამართვა.

კომპანიის ხელმძღვანელობა ეძებს გზებს მარკეტინგული აქტივობების გზით მოახდინოს ფილმწარმოებებზე და სხვა სხვადასხვა პროექტებზე მიიღოს მნიშვნელოვანი შემოსავალი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.